

პატივცემულო ბატონო პაველ,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს სახალხო დამცველი წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე შექმნილ ორგანოს, რომელიც ახორციელებს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ზედამხედველობას. საქართველოს სახალხო დამცველი, ადამიანის უფლებათა შესაძლო დარღვევის შემთხვევებს შეისწავლის როგორც განცხადების საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით.

2021 წლის 6 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მიმართა საქართველოს მოქალაქე _____, ინტერესების დამცველმა ადვოკატმა _____, რომელიც მიუთითებს, რომ ეს ქალბატონი, ამჟამად, დაკავებულია ბელარუსის რესპუბლიკაში და ლიბანის რესპუბლიკის უფლებამოსილი ორგანოების მიერ მოთხოვლია მისი ექსტრადიცია სწორედ ამ სახელმწიფოში, ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულის შესაძლო ჩადენის ბრალდებით.

ლიბანის სისხლის სამართლის კოდექსის 549-ე მუხლისა და "სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" 11.01.1958 წლის კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, ლიბანის რესპუბლიკაში, ხსენებული დანაშაულისათვის, სასჯელის ერთ-ერთ სახედ გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა.¹

მიმაჩნია, რომ საქართველოს მოქალაქე _____ ლიბანის რესპუბლიკაში ექსტრადიცია აღნიშნული სასჯელის მოლოდინისა და ლიბანის პენიტენციურ სისტემაში არსებული პირობების გათვალისწინებით, ეწინააღმდეგება ბელარუსის რესპუბლიკის მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებსა და ადამიანის უფლებების ფუნდამენტურ პრინციპებს, რის გამოც მოგმართავთ წინამდებარე დოკუმენტით.

ბელარუსის რესპუბლიკის პასუხისმგებლობები

როგორც ცნობილია, ბელარუსის რესპუბლიკა არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრი და რატიფიცირებული აქვს გაეროს 1984 წლის კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ.

ხსენებული კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად,

¹ ბელარუსის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილის 2021 წლის 28 აპრილის დადგენილება ილონა ჯანგოევას გადაცემაზე ლიბანის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნაზე თანხმობის შესახებ.

1. არც ერთმა მონაწილე სახელმწიფომ არ უნდა გაასახლოს, დააბრუნოს ან გადასცეს რომელიმე პირი სხვა სახელმწიფოს, თუ არის სერიოზული საფუძველი ეჭვისათვის, რომ მას იქ დაემუქრება წამების საფრთხე.
2. ასეთი საფუძვლის არსებობის დასადგენად კომპეტენტური ხელისუფალნი ითვალისწინებენ საქმესთან დაკავშირებულ ყველა გარემოებას, მათ შორის შესაბამის შემთხვევებში მოცემულ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა უხეში, აღმამფოთებელი და მასობრივი დარღვევის მუდმივ პრაქტიკას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც ხსენებულ კონვენციას მიერთებული სახელმწიფო, ბელარუსი იღებს პასუხისმგებლობას, არ მოახდინოს პირის ექსტრადიცია სახელმწიფოში, სადაც არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ მას დაემუქრება წამების საფრთხე, ხოლო აღნიშნული საფრთხის არსებობის დასადგენად და შესაფასებლად - მიმართოს გონივრულ, ადეკვატურ და აუცილებელ ღონისძიებებს.

ამავე კონვენციის ზოგადი კომენტარების სახით, გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი იძლევა ვრცელ განმარტებებს, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის მე-3 მუხლთან, კერძოდ კი, არგაძევების პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით.²

აღნიშნული ზოგადი კომენტარები წარმოადგენს ხსენებული კონვენციის ავტონომიურ განმარტებას გაეროს მიერ, სადაც დაზუსტებულია კონვენციაში მოცემული ტერმინებისა და პირობების შინაარსი.³

კომიტეტი ხსენებულ დოკუმენტში ხაზს უსვამს, რომ კონვენციის თანახმად, წამების აკრძალვას გააჩნია აბსოლუტური ხასიათი და მისგან გადახვევა დაუშვებელია ნებისმიერ ვითარებაში. შესაბამისად, სახელმწიფოს ვალდებულება, რომ არ დააბრუნოს პირი ისეთ სახელმწიფოში, სადაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ იგი შესაძლოა წამებას დაექვემდებაროს, აგრეთვე აბსოლუტური ხასიათისაა.⁴ ამგვარად, არგაძევების ვალდებულება იმ ვალდებულების ნაწილია, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა ან დასჯა, რასაც ითვალისწინებს ზემოხსენებული კონვენციაც.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტის განმარტებით, „სერიოზული საფუძველი ეჭვისათვის“ მიემართება წამების რისკს, რომელიც არის „განჭვრეტადი, პერსონალური, ამჟამინდელი და რეალური“ ხასიათის.⁵ ამასთან, ნებისმიერი პირი, რომელიც იმყოფება ამ საშიშროების წინაშე, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესაძლებლობით, რომ დარჩეს გამგზავნი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მისი იურისდიქციის ქვეშ მანამ, სანამ ხსენებული რისკი არსებობს.⁶

² Committee against Torture, General comment No. 4 (2017) on the implementation of article 3 of the Convention in the context of Article 22. Available online: < <https://bit.ly/3tUGFSE> >

³ Official Records of the General Assembly, Thirty sixth Session, Supplement No. 40 (annex VII, introduction).

⁴ იქვე, §§ 8-9.

⁵ იქვე, § 11.

⁶ იქვე, § 12.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ზოგადი კომენტარები მიუთითებს ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც სახელმწიფო შეზღუდულია ექსტრადიციის შესახებ დადებული სხვა ორმხრივი თუ მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებით. დოკუმენტის თანახმად, ექსტრადიციასთან დაკავშირებული ვალდებულებები, ასეთ შემთხვევაშიც არგაძევების პრინციპისა და კონვენციის შესაბამისად უნდა განხორციელდეს.⁷

წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, ზოგად კომენტარებში, არაამომწურავად ჩამოთვლის იმ გარემოებებსა და ფაქტორებს, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სახელმწიფოს მიერ, წამების რისკის შესახებ სერიოზული ვარაუდის ეჭვის შესაფასებლად.

მაგალითად, სახელმწიფომ მხედველობაში უნდა მიიღოს, მომთხოვნ სახელმწიფოში სასამართლო სისტემა ითვალისწინებს თუ არა საქმის სამართლიანი განხილვის შესაძლებლობას; პირი, მომთხოვნ სახელმწიფოში დაკავების, თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში ხომ არ დაექვემდებარება არასათანადო მოპყრობას ან დასჯას; ხომ არ იქნება პირი სასიკვდილო განაჩენის შეფარდების საფრთხის წინაშე რომელიც, თავისი ფორმით უტოლდებოდეს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას, რაც ეწინააღმდეგება ჩვეულებით საერთაშორისო სამართალსა და კომიტეტისა და სხვა აღიარებული საერთაშორისო და რეგიონული ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების იურისპრუდენციას.⁸

დამატებით, სახელმწიფომ მხედველობაში უნდა მიიღოს, ექსტრადიციის შესახებ თანხმობის განცხადებით, პირი ხომ არ გადაეცემა სახელმწიფოს, სადაც სიცოცხლის ძირითადი უფლება არის უგულებელყოფილი. მაგალითად, ხომ არ დაექვემდებარება პირი სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე სიკვდილით დასჯას ან იძულებით გაუჩინარებას. ან, თუ მიმღებ სახელმწიფოში მოქმედებს სიკვდილით დასჯა, იგი გამგზავნი სახელმწიფოს მიერ შეფასებული ხომ არ არის, როგორც წამების, სხვა სასტიკი ან არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის ფორმა. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული **სიკვდილით დასჯის მეთოდები, გარემოებები და სიკვდილმისჯილი პირების განაგრძლივებული მოლოდინი და პირობები, რაც, შესაძლოა, გაუტოლდეს წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან დასჯას, „არგაძევების“ პრინციპის გამოყენების მიზნებისათვის.**

დამატებით, წამების რისკის საფუძვლების შესაფასებლად, კომიტეტი განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებების უხეში,

⁷ იქვე, §§ 23-25.

⁸ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, გაეროს კონვენციაში არ გვხვდება ექსპლიციტური მითითება პირის სიკვდილით დასჯის შესაძლებლობაზე, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით აღიარებულია, რომ სიკვდილით დასჯის მოლოდინი შესაძლოა შეფასდეს, როგორც მსგავსი აკრძალული მოპყრობა. ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის, წამების აკრძალვის უფლების დარღვევა დაუკავშირა საკუთრივ სიკვდილით დასჯის მოლოდინს და იმ სულიერ ტანჯვას, რასაც გულისხმობდა მომჩივნის წლების განმავლობაში „ცხოვრება სიკვდილის აჩრდილთან ერთად“ (Soering v United Kingdom, ECtHR, საჩივარი 14038/88, 1989, §106). ამგვარად, თანამედროვე ევროპული სტანდარტებით, სასიკვდილო განაჩენის აღსრულების მოლოდინი გათანაბრებულია წამებასთან, როგორც აბსოლუტურად დაცული უფლების დარღვევასთან.

აღმამფოთებელი და მასობრივი დარღვევის მუდმივ პრაქტიკას, რაც, მათ შორის, მიემართება წამების გავრცელებულ გამოყენებასა და ამ ქმედებათა ჩამდენი პირების დაუსჯელობის პრაქტიკას.⁹

ამასთან, კომიტეტი მიიჩნევს, რომ წამების რისკი რომ შეფასებულ იქნეს, როგორც „განჭვრეტადი, პირადი, ამჟამინდელი და რეალური“, იგი მხედველობაში იღებს კონკრეტულ გარემოებებს, მაგალითად, პირის ეთნიკურ წარმომავლობას, დაკავების, დაპატიმრების შესაძლებლობას საქმის სამართლიანი განხილვის უფლებების გარანტირების გარეშე, incommunicado ან სხვა ფორმით თვითნებურ ან უკანანო პატიმრობას; ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის გაუპატიურების შემთხვევებს.¹⁰

ამასთან, რისკის დასადგენად, კომიტეტი აფასებს, მიმღებ სახელმწიფოს მიღებული აქვს თუ არა აუცილებელი ზომები, რათა მთელ ტერიტორიაზე მისი იურისდიქციის, კონტროლის ქვეშ, აღკვეთოს და აკრძალოს წამება, რაც გულისხმობს მკაფიო საკანონმდებლო რეგულირებას წამების გამოყენების აბსოლუტიური ხასიათის შესახებ, განსაზღვრული ადეკვატური სასჯელებითა და ღონისძიებებით, რომლებიც წერტილს დაუსვას საჯარო პირების მხრიდან წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის შემთხვევებსა და ასეთი მოპყრობის ჩამდენი პირების დაუსჯელობის პრაქტიკას.¹¹

დამატებით, კომიტეტი აფასებს გარემოებასაც, უზრუნველყოფილი იქნება თუ არა პირი შესაძლებლობით, რომ დაექვემდებაროს დამოუკიდებელ სამედიცინო შემოწმებას, ამასთან, დაკავშირებულია თუ არა იგი სახელმწიფოს ფარგლებში ან მის მიღმა იმგვარ პოლიტიკურ აქტიურობასთან, რომელიც მოწყვლადს განდიდა პირს და დაუქვემდებარებდა წამების საფრთხეს.¹²

ზემოაღნიშნული გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გაეროს სამართლებრივ სივრცეში არსებობს ერთგვარი კონსენსუსი, რომლის თანახმად, თხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ არ უნდა გასცეს თანხმობა პირის ექსტრადიციასაზე სახელმწიფოში, სადაც არსებობს სერიოზული საფუძველი ეჭვისთვის, რომ იგი შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან/და მის წინააღმდეგ მოხდეს სიკვდილით დასჯის შეფარდება ან/და აღსრულება. აღნიშნული მიდგომა ეფუძნება ადამიანის ღირსების ხელშეუვალობის პრინციპსა და დემოკრატიულ ღირებულებებს.

ჩვენ მიერ მოკვლეული ინფორმაცია ლიბანის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა როგორც ზოგადი მდგომარეობის, ისე ცალკეულ სფეროებში დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ, გვარწმუნებს, რომ მოცემული ეტაპისათვის, ბელარუსის რესპუბლიკას გააჩნია „სერიოზული საფუძველი ეჭვისათვის“, რომ ექსტრადირების შემთხვევაში დაექვემდებარება წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ თუ ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას, რის გამოც, ბრალდებულის ექსტრადიციასაზე თანხმობის განცხადება ცალსახად დაარღვევს

⁹ იქვე, §43.

¹⁰ იქვე, §45.

¹¹ იქვე, §48.

¹² იქვე, §49-(d); (f).

წამების აკრძალვის აბსოლუტურ უფლებას, რომლის დაცვაც ბელარუსის სახელმწიფოს საერთაშორისოდ ნაკისრი ვალდებულებაა.

გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მიერ დადგენილი ზემოხსენებული სტანდარტები, კონკრეტულად განსახილველ შემთხვევასთან კავშირში, დამატებით შეფასებული იქნება წინამდებარე დოკუმენტში.

წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ეჭვის საფუძველი ლიბანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში

საქმის ცალკეული გარემოებები, მათ შორის, ლიბანის რესპუბლიკის სამართლებრივი სივრცე მეტყველებს, რომ ბრალდებულის ექსტრადიციის შემთხვევაში, არსებობს სერიოზული საფუძველი ვარაუდისა, რომ იგი დაექვემდებარება არაადამიანურ მოპყრობას და, შესაძლოა, მის მიმართ გამოყენებული იყოს სიკვდილით დასჯაც.

მიმართ ლიბანის რესპუბლიკაში მოსალოდნელი არაადამიანური მოპყრობისა და წამების საფრთხე მიემართება არამხოლოდ მის მიმართ სასიკვდილო განაჩენის შეფარდება-აღსრულების შესაძლებლობას, არამედ – ლიბანის რესპუბლიკაში არსებული ადამიანის უფლებათა ზოგადი მდგომარეობის, განსაკუთრებით კი, წამების გავრცელებული და სისტემური გამოყენების მანკიერ პრაქტიკას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, ლიბანის რესპუბლიკაში არსებული ადამიანის უფლებათა ზოგადი მდგომარეობის, მათ შორის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის, პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული პირობებისა და ზოგადი მდგომარეობის შესწავლის მიზნით, გაეცნო ლიბანის რესპუბლიკაში დაფუძნებული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების ანგარიშებსა და მოხსენებებს.

ხსენებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მკვეთრად უარყოფითად ფასდება ლიბანის რესპუბლიკაში ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის ზოგადი მდგომარეობა, განსაკუთრებით კი, წამების ირგვლივ არასათანადო საკანონმდებლო მოწესრიგება და მისი გავრცელებული და სისტემური გამოყენების პრაქტიკის საკითხი.

ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ ლიბანის მეორე უნივერსალური გადახედვის ფარგლებში გასათვალისწინებელი საკითხების შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი მიმართვის თანახმად, ლიბანს არ გააჩნია ადამიანის უფლებათა დაცვის სათანადო კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა დარღვევის გამოსწორების, აღდგენის გზებს, განსაკუთრებით კი წამების, თვითნებური დაკავების, საქმის სამართლიანი განხილვის უფლების კონტექსტში.¹³

¹³ Lebanon – Joint Submission in View of Lebanon's Second Periodic Review by the Human Rights Council. Torture, Detention and Unfair Trials, para 11. Retrieved at: < <https://uprdoc.ohchr.org/uprweb/downloadfile.aspx?filename=2091&file=EnglishTranslation>>, 17.05.2021.

ამავე ანგარიშის თანახმად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ლიბანის რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება აღიარებულ სტანდარტებს. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ადგილი აქვს ძალადობის, ხანგრძლივი განმარტოებული პატიმრობის, არასათანადო მოპყრობის, უარყოფილი თუ გაჭიანურებული სამედიცინო მომსახურების შემთხვევებს, რასაც, არ მოჰყვება ქმედითი გამოძიება.¹⁴

ერთობლივი მიმართვა მიუთითებს გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის 2014 წელს ლიბანის რესპუბლიკაში გამოყენებული წამების ირგვლივ ჩატარებული კონფიდენციალური მოკვლევის შედეგად მომზადებულ ანგარიშზეც, რომელიც წამებას აღწერს, როგორც „ფართოდ გავრცელებულსა და სისტემურს“.¹⁵

ამასთან, Centre Libanais des Droits Humains-ის შემუშავებული სტატისტიკის თანახმად, ლიბანის რესპუბლიკაში, სავარაუდოდ, წამებას ექვემდებარება დაკავებულ პირთა დაახლოებით 60%, სქესისა და წარდგენილი ბრალდების შინაარსისა თუ სიმძიმის მიუხედავად. ხოლო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დანაშაულების შემთხვევებში (როგორებიცაა ტერორიზმი და ჯაშუშობა), **წამება სისტემურია და თითქმის 100%-ს აღწევს.**¹⁶

არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები მიუთითებს წამების განგრძობადი და სისტემური გამოყენებისა და თვითნებური თავისუფლების აღკვეთის შემთხვევებზე ეჭვმიტანილი ტერორისტების მიმართ. განსაკუთრებით ხშირია წამება ეჭვმიტანილთა მხრიდან აღიარების მოპოვების მიზნებისათვის, ხოლო დაფიქსირებულია ასეთ ვითარებაში წამების შედეგად გარდაცვლილი ეჭვმიტანილის შემთხვევაც.¹⁷

აღსანიშნავია, რომ ანგარიშით გაკრიტიკებულია ლიბანის რესპუბლიკის სასამართლო სისტემაც. კერძოდ, სასამართლოს მოსამართლეები, რომელთა განსჯადობასაც განეკუთვნება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დანაშაულის კატეგორია, არ არიან შერჩეული იურიდიული განათლებისა თუ კვალიფიკაციის საფუძველზე. ამგვარად, სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დგას მოსამართლეთა კომპეტენტურობისა და, შესაბამისად, სასამართლო პროცესის კვალიფიციურობის საკითხი.¹⁸

დამატებით, ანგარიშის თანახმად, ასეთ სასამართლოებში მიღებული აღიარებითი ჩვენება ხშირად მოპოვებულია წამების შედეგად, ხოლო **წამებასთან დაკავშირებული განცხადებები, როგორც წესი, არ ექვემდებარება დროულ და მიუკერძოებელ გამოძიებას.** გარდა ამისა, სამედიცინო ექსპერტები არ არიან დამოუკიდებელი ძალოვანი სტრუქტურებისგან, რაც მკვეთრად უარყოფით გავლენას ახდენს მათ საქმიანობაზე, მათ შორის, წამების შემთხვევების გამოვლენისა და აღრიცხვის კუთხით.¹⁹

¹⁴ იქვე, para 10.

¹⁵ იქვე, para 12.

¹⁶ იქვე, para 13.

¹⁷ იქვე, para 16.

¹⁸ იქვე, para 36.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მიგრანტების შემთხვევებში, სასამართლო პროცესში ყოველთვის არ არის ხელმისაწვდომი თარჯიმნის მომსახურება, რაც არღვევს საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას.²⁰

პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული პირობები არ შეესაბამება პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალურ სტანდარტებს, მათ შორის, საკვების, სამედიცინო მომსახურების, პირადი ჰიგიენისა და საცხოვრებელი პირობების კუთხით.

ამასთან, სერიოზული პრობლემაა პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობა, რისი ერთ-ერთი მიზეზიც წინასწარი პატიმრობის განუსაზღვრელი ვადით გამოყენების შესაძლებლობაა.²¹ ანგარიში მიუთითებს სპეციალურ დაწესებულებაზეც, სადაც, მკაფიო სამართლებრივი საფუძვლისა და შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე, თავსდება უცხოელი პატიმრები დაკავების შემდეგ განსაზღვრული სასჯელის მოხდამდე. ხოლო ეს დაწესებულება გამოირჩევა განსაკუთრებით არაადამიანური და მძიმე პირობებით.²²

რაც შეეხება სიკვდილით დასჯას, ამ ანგარიშის მონაცემებით, მოცემული ეტაპისათვის, 71 ადამიანი კვლავ ელოდა შეფარდებული სასიკვდილო განაჩენის აღსრულებას.

ლიბანის რესპუბლიკაში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის გამოყენების შესახებ გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის 2017 წლის დასკვნის თანახმად, ლიბანის კანონმდებლობა არ კრძალავს წამებას,²³ რის გამოც წამების ჩამდენი პირები არ ექვემდებარებიან საკმარის პასუხისმგებლობას.²⁴

ლიბანის რესპუბლიკაში წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ განცხადებები მუდმივია, განსაკუთრებით კი თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ, მათი დასჯის ან/და აღიარების მოპოვების მიზნით.²⁵ მეტიც, კომიტეტმა მიუთითა, რომ უამრავი თანმხვედრი ანგარიშის მიხედვით, უსაფრთხოებისა და სამხედრო ძალების წარმომადგენლები რუტინულად იყენებენ წამებას დაკავებულ პირთა მიმართ, მათ შორის, ბავშვების, ჟურნალისტებისა და უმცირესობების წინააღმდეგ.²⁶ წამების გარდა, დაკავებულ პირებს არ აქვთ კონფიდენციალური ხელმისაწვდომობა ადვოკატთან და ექიმთან.²⁷ პატიმრობის პირობები უმძიმესია - ჰიგიენის დაბალი

¹⁹ იქვე, para 39

²⁰ იქვე, para 44

²¹ ანგარიშის თანახმად, ზოგიერთ ციხეში ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც 30 მიგრანტი ქალი მოთავსებული იყო 6 კვ.მ სივრცეში ბუნებრივი განათების და სასმელი წყლის გარეშე. ამასთან, ისინი სრულიად დამოკიდებული იყვნენ გარეშე დახმარებაზე საკვების უზრუნველყოფის კუთხით. ამასთან, სამედიცინო მომსახურებაც ამ დაწესებულებაში სრულიად ხელმიუწვდომელია.

²² იქვე, para 57.

²³ Committee against Torture, Concluding observations on the initial report of Lebanon; 30 May 2017, 14 იხ:

https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CAT%252FC%252FLBN%252FCO%252F1&Lang=en para 11.

²⁴ იქვე, პარა 13.

²⁵ იქვე, პარა 14.

²⁶ იქვე.

²⁷ იქვე, პარა 16.

სტანდარტით, სამედიცინო სერვისების არასაკმარისობით (განსაკუთრებით, ქალთა შემთხვევებში), საკვების უზარისხობისა და ციხეში ძალადობის მაღალი სიხშირის გამო.²⁸

კომიტეტმა ასევე მიუთითა, რომ ლიბანის რესპუბლიკის კანონმდებლობა არ კრძალავს წამების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენებას სასამართლოზე, რის გამოც წამება აქტიურად გამოიყენება აღიარებების მისაღებად როგორც სამოქალაქო, ისე - სამხედრო სასამართლოებში.²⁹ კომიტეტი მიუთითებს, რომ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ნებადართული გამოყენება ქმნის დაუსჯელობის გარემოს,³⁰ რაც შეუთავსებელია კონვენციასთან.

ლიბანის რესპუბლიკაში წამებისა და არასათანადო მოპყრობის შედარებით ახალ შემთხვევებს აღწერს Human Rights Watch, რომელიც მიუთითებს ლიბანის რესპუბლიკის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების მხრიდან წამების შემთხვევებზე, სახელდობრ, ჯაშუშობასთან დაკავშირებული ბრალდების შემთხვევაში.³¹

Human Rights Watch-ის მიერ გადმოცემული ინფორმაციის თანახმად, ადგილი აქვს დაკავებულ პირთა წამების შედეგად გარდაცვალების შემთხვევებსაც, რაც დასტურდება სამედიცინო ექსპერტების მიერ გაწეული შემოწმებით. ამავე ინფორმაციით აღწერილია შემთხვევებიც, როდესაც დაკავებული პირები დაექვემდებარნენ ფიზიკურ ძალადობას, უარი ეთქვათ საკვებსა და წყალზე დაახლოებით ოთხი ან ხუთი დღის განმავლობაში და, ამასთან, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე იყვნენ დაკავებული.³²

აღსანიშნავია, რომ Human Rights Watch დაკავებული პირების მიმართ სავარაუდოდ განხორციელებული წამებისა (მათ შორის, არასრულწლოვნების მიმართ) და იძულებით გაუჩინარებული პირების საკითხებზე მიუთითებს 2021 წლის პერიოდშიც.³³ ამავე დროის მონაკვეთში განხორციელებულ წამების შემთხვევებსა და საქმის სამართლიანი განხილვის ძირითადი უფლების უხეშ და მასობრივ დარღვევებზე მიუთითებს Amnesty International-იც, რომელიც ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული ძირითადი უფლებების სისტემურ დარღვევად აფასებს ძალადობის, თვითნებური დაკავებისა და არასამართლიანი სასამართლო პროცესის დამკვიდრებულ პრაქტიკას, რასაც, განსაკუთრებულად ხშირად, ადგილი აქვს ტერორიზმთან დაკავშირებული ბრალდებების შემთხვევაში.³⁴

ყოველივე ზემოაღნიშნული იძლევა საკმარის საფუძველს ვარაუდისა, რომ ლიბანის რესპუბლიკაში არსებობს სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ პირთა წამების, სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის გავრცელებული, მანკიერი

²⁸ იქვე, პარა 20.

²⁹ იქვე, პარა 32.

³⁰ იქვე, პარა 40.

³¹ იხ: <https://www.hrw.org/world-report/2019/country-chapters/lebanon#>

³² იხ: <https://www.hrw.org/news/2017/07/20/lebanon-deaths-alleged-torture-syrians-army-custody>

³³ იხ: <https://www.hrw.org/news/2021/03/30/lebanon-tripoli-detainees-allege-torture-forced-disappearance>

³⁴ იხ: <https://www.amnesty.org/en/latest/news/2021/03/lebanon-torture-of-syrian-refugees-arbitrarily-detained-on-counter-terror-charges/>

პრაქტიკა, რასაც, განსაკუთრებით ხშირად, ადგილი აქვს ტერორიზმთან დაკავშირებულ დანაშაულებში ეჭვიმტანილ პირთა მიმართ.

საერთაშორისო ორგანიზაციების მკვეთრად უარყოფითი შეფასება ლიბანის რესპუბლიკაში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის - საცხოვრებელი პირობების, სათანადო სამედიცინო მომსახურების მიღების, მძიმე სანიტარული მდგომარეობისა და არასათანადო კვების ჩათვლით - შესახებ ცალსახად მიუთითებს, რომ არსებობს სერიოზული ეჭვი ვარაუდისთვის, რომ ექსტრადიციის განხორციელებამ შესაძლოა გამოიწვიოს მიმართ არაადამიანური მოპყრობა, ხოლო იგი პატიმრობის განმავლობაში ვერ ისარგებლებს სამართლიანი სასამართლოსა და სხვა ძირითადი უფლებებით.

დასკვნა

როგორც აღინიშნა, გაეროს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ დაუშვებლად მიიჩნევს პირის ექსტრადიციის განხორციელებას სახელმწიფოში, სადაც არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ იგი შეიძლება დაექვემდებაროს წამებას.

ზემოთ განხილული ინფორმაცია იძლევა საფუძვლიან ვარაუდს, რომ ლიბანის რესპუბლიკაში ექსტრადიციით, იგი დაექვემდებარება წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან დასჯას, რომლის ფორმებიც განხილულია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის ზოგადი კომენტარების ჭრილში.

კერძოდ, დღემდე, ლიბანის რესპუბლიკის კანონმდებლობა ითვალისწინებს მსჯავრდებულთა სიკვდილით დასჯის შესაძლებლობას, რაც, როგორც აღინიშნა, გაეროს სტანდარტებით, განიხილება, როგორც ადამიანის ღირსების წინააღმდეგ მიმართული მოვლენა და უტოლდება წამებას, რაც არღვევს ადამიანის აბსოლუტურად დაცულ ფუნდამენტურ უფლებას.

ლიბანის რესპუბლიკაში არსებული წამების გავრცელებული და სისტემური პრაქტიკა, რომელსაც, განსაკუთრებით ხშირად ადგილი აქვს სწორედ სახელმწიფო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ დანაშაულებში ეჭვიმტანილ პირთა მიმართ, ნათლად აჩვენებს, რომ ლიბანის რესპუბლიკისათვის გადაცემის შემთხვევაში, მაღალი ალბათობით დაექვემდებარება წამებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ისეთ პირობებში, როდესაც ლიბანის სახელმწიფოს მიერ მოთხოვნილია ექსტრადიცია სწორედ ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულის ჩადენის ბრალდებით, აგრეთვე, მოლოდინით, რომ ბრალდებული დაექვემდებარება წამებას, ერთი მხრივ, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგელების მხრიდან სასტიკი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის მეთოდით, ხოლო, მეორე მხრივ, სასიკვდილო განაჩენის შეფარდების ფორმით, ბელარუსის რესპუბლიკის მხრიდან ბრალდებულის ექსტრადიციაზე თანხმობის განცხადება დაარღვევს წამებისა და სხვა სასტიკი,

არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენციას.

გასათვალისწინებელია, რომ მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებს ის დამატებითი საშიშროება, რომ სავარაუდოდ, ლიბანის რესპუბლიკაში ვერ ისარგებლებს საქმის სამართლიანი განხილვის უფლებით გათვალისწინებული მინიმალური საპროცესო გარანტიებით როგორც უშუალოდ მისი ბრალდების სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, აგრეთვე, არასათანადო მოპყრობას დაქვემდებარების შემთხვევაში, არ იქნება უზრუნველყოფილი ქმედითი და ეფექტიანი გამოძიებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ ლიბანის რესპუბლიკაში ექსტრადიცია გამოიწვევს მისი საყოველთაოდ აღიარებული ფუნდამენტური უფლებების უხეშ დარღვევას, რაც, შეიძლება, ფატალურიც აღმოჩნდეს ბრალდებულისათვის.

ამრიგად ვთვლით, რომ ბელარუსის რესპუბლიკამ არ უნდა იმოქმედოს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის საწინააღმდეგოდ და არ უნდა გასცეს თანხმობა ექსტრადიციის თაობაზე და არ დაუშვას მისი ლიბანის რესპუბლიკისთვის გადაცემა.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია